პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 14 (1028) | ხუთშაბათი, 31 იანვარი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



საუკეთესო

ამას წინათ, ლენინგრადთან, სოფელ ტოკსოვოში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლენინგრადის ახალი დიდი ტრამპლინი, რომელიც საუკეთესოა ჩვენს ქვეყანაში. ახალი ტრამპლინიდან ხტომის ზღვარი 65 მეტრია. ტრამპლინის საერთო სიმაღლე — 97 მეტრი.

ტრამპლინის გახსნის ზეიმზე ლენინგრადელ სპორტსმენებთან ერთად ხტომებში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო შეხვედრებში გამარჯვებულებმა ნ. კამენსკიმ და ნ. შამოვმა. პირველი ნახტომის უფლება მიეცათ ტრამპლინის აქტიურ მშენებლებს. ლენინგრადის ოლქის წარმომადგენელმა ა. ვასილევმა აჩვენა 49,5 მეტრი, არსებითად ეს იყო ახალი ტრამპლინის პირველი რეკორდიც. მაგრამ იგი მალე შეცვალეს. მოსკოველმა ს. გრუდზევმა დაძლია 63 მეტრი. ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრმა რ. ბიკოვმა რეკორდი 65 მეტრამდე აიყვანა და სტილშიც კარგი შეფასება მიიღო.

სტარტი აიღო ინსბრუკში (ავსტრია) ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრაში გამარჯვებულმა და გარმიშ პარტენკირხენის (გფრ) ტრამპლინის რეკორდსმენმა ნ. შამოვმა. იგი 69,5 მეტრზე გადახტა მაგრამ ნახტომის დამთავრებისას დაეცა და დაბალი შეფასება მიიღო. კარგად შეასრულა ნახტომი ა. დვინსკიმ — 69 მ; და ვ. კონდრატიევმა — 67 მ.

ტრამპლინის რეკორდსმენად აღიარებულ იქნა ნ. კამენსკი, რომელიც მაღალ სტილში გადახტა 69,5 მეტრზე. მისი შედეგის გაუმჯობესება პირველი ცდით ვერავინ შეძლო.

როცა მეორე ცდა დაიწყო, ამოვარდა ძლიერი გვერდითი ქარი, რაც სპორტსმენებს ხელს უშლიდა ნახტომის გაბედულად შესრულებაში. შეჯიბრების ყველა მონაწილემ პირველ ცდასთან შედარებით დაბალი შედეგები აჩვენა. კამენსკიმ მხოლოდ 58 მეტრის დაძლევა შეძლო. ორი ცდის ჯამში მან მოაგროვა 212,5 ქულა და ახალ ტრამპლინზე გამარჯვებული გამოვიდა. ნ. კონდრატიევი გამარჯვებულს ჩამორჩა ნახევარი ქულით — 212; რ. ბიკოვმა დაიკავა მესამე ადგილი — 209 ქულა.

ამ დღეებში ლენინგრადის ახალ ტრამპლინზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და ფინეთის სპორტსმენები. გამარჯვებული გამოვიდა ნ. კამენსკი (227 ქულა). ფინელმა ხ. სილვენოინენმა მოაგროვა 226 ქ. მისმა თანაგუნდელმა ე. კირონენმა — 221,5 ქ.

* * *

სურათზე: ლენინგრადის ახალი ტრამპლინის საერთო ხედი.

ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს

ორმოცი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც „ავრორას" ზალპმა დედამიწას ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა ისტორიაში — სოციალიზმის ერა. რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოახდინა. განვლილია გმირული ბრძოლებითა და თავდადებული შრომით აღსავსე ცხოვრების გრძელი და ძნელი გზა. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თავიანთი მონაპოვრით, ისინი ამაყობენ, რომ განუხრელად მიემართებიან იმ გზით, რომელიც მათ ლენინმა უჩვენა — კომუნიზმისაკენ.

მრავალი საუკუნის მანძილზე მშრომელი ხალხი პირველად ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ თავისი ქვეყნის ერთადერთ და კანონიერ ბატონ-პატრონად აქცია. საბჭოთა მშრომელების წინაშე გაიშალა შემოქმედებითი გაფურჩქვნის უსაზღვრო შესაძლებლობანი, მასების შემოქმედებითი აქტივობა ყველაზე სრულად, ყველაზე ფართოდ პოულობს გამოხატულებას სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც კომუნისტური მშენებლობის ნაცადი და საუკეთესო მეთოდია.

მეექვსე ხუთწლედის მეორე წელი წარმოადგენს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ დიდ სამუშაოთა პროგრამის განხორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის წელს, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის კიდევ უფრო ამაღლების წელს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აამოძრავა საბჭოთა ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალები, პლენუმმა მიმართა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით განაღდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

პარტიის ამ მოწოდებას მთელი საბჭოთა ხალხი გამოეხმაურა. მოსკოველი მეავტომობილეები, დონბასელი მეშახტეები, ურალელი მანქანათმშენებლები სოციალისტურ შეჯიბრებებში ჩაებნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს. ამას წინათ პარტიის მოწოდებას თავისი ხმა შეუერთა სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა. მათ მიიღეს მიმართვა საქართველოს მშრომელებისადმი: „ჩვენ მოწოდებით მივმართავთ საქართველოს სსრ ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივს, — ნათქვამია მეტალურგთა მიმართვაში, — ჩაებან საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის".

ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის გაშლილ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა. გადავხედოთ ისტორიის ფურცლებს, რა მდგომარეობაში იყო სპორტი ჩვენს რესპუბლიკაში რევოლუციამდე. იგი ერთი მუჭა მმართველი კლასის წარმომადგენელთა საკუთრებას შეადგენდა, ახლა კი ფიზკულტურა და სპორტი ღრმად შეიჭრა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ემსახურება მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, ჯანსაღი, მუხლმაგარი თაობის აღზრდას.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების უპირველესი მოვალეობაა თავიანთ საქმიანობაში ფართოდ გამოიყენონ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა და მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მიღებული გამოცდილებები, დაუღალავად სრულყონ სპორტული ტექნიკა, შეინარჩუნონ მოპოვებული გამარჯვებები და იბრძოლონ ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

ახლა რესპუბლიკის დედაქალაქსა და რაიონებში მრავალი სპორტული ბაზა შენდება, მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი მშენებლობის ტემპები არავითარ შემთხვევაში არ არის დამაკმაყოფილებელი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთლიანად და დროულად ავითვისოთ ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხები და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი ახალ სპორტულ ბაზებზე მოწყობილი წარმტაცი ზეიმებით აღვნიშნოთ.

გასული წელი მეტად დაძაბული სპორტული წელი იყო, ამიტომ ბევრი რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმის შესრულებაში. წელს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღვკვეთოთ ამ საქმეში იერიშობანა, მთელი წლის განმავლობაში სიყვარულით მოვეკიდოთ სამუშაოს და სახელოვანი თარიღი წარმატებით აღვნიშნოთ.

რესპუბლიკის მწვრთნელების უპირველესი მოვალეობაა კიდევ უფრო გააცხოველონ მუშაობა თავიანთ აღსაზრდელებს შორის, შეითვისონ წვრთნის სიახლენი, აიმაღლონ თეორიული დონე და, რაც მთავარია, ეძებონ, დაუღალავად ეძებონ ახალი ტალანტები, გამოიყვანონ ისინი დიდ სარბიელზე და სამშობლოს სპორტული ღირსების დამცველთა რიგები ერთიორად გაამაგრონ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს ღირსეულად უნდა შეხვდეს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები.

საიუბილეო ტურნირი

1957 წლის პირველობა, რომელიც რიგით 24-ეს ითვლის, ტარდება ახალი სისტემით. ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის იბრძვის ჩვენი ქვეყნის ვაჟთა და ქალთა 12-12 უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც ერთმანეთს ორჯერ შეხვდებიან.

რა გუნდები იბრძოლებენ ჩემპიონის ტიტულისათვის? ესენი არიან: გასული წლის ჩემპიონი რიგის ოფიცერთა სპორტული კლუბი, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი, კაუნასის „ჟალგირისი", თბილისის „დინამო" და მოსკოვის „დინამო", ტარტუს „კალევი", „ბურევესტნიკი" (ლენინგრადის, კიევისა და ალმა-ატის), რიგისა და მოსკოვის „სპარტაკი". „ა" კლასში გამოსვლის პრეტენდენტი იყო აგრეთვე ორი გუნდი — სვერდლოვსკის და კიევის ოფიცერთა სახლის კოლექტივები. მათ შორის დაინიშნა 3 შეხვედრა . მესამე გადამწყვეტი მატჩი მოიგეს სვერდლოვსკელებმა და ამით უძლიერესთა ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ქალთა შორის ჩემპიონატში მონაწილეობენ — სსრ კავშირის ჩემპიონი „მაი", დედაქალაქის „დინამო", „სტროიტელი", „მეტალურგი", კაუნასის „ჟალგირისი", თბილისის „ბურევესტნიკი", ტარტუს „კალევი", რიგის „დაუგავა", კიევის „დინამო", „ლეტი" (ლენინგრადის ელექტრო ტექნიკური ინსტიტუტი), ლენინგრადისა და როსტოვის „ბურევესტნიკი".

პირველობა, რომელიც დაიწყო 24 იანვარს მოსკოვში, აგვისტოს დამლევამდე გასტანს, პირველი წრის პირველ ტურში თამაშობდნენ: თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი, რიგის „სპარტაკი", ალმა-ატის „ბურევესტნიკი", მოსკოვის „სპარტაკი", კიევის „ბურევესტნიკი" და სვერდლოვსკის ვაჟთა გუნდები. აგრეთვე მაის, მოსკოვის „დინამოსა" და „მეტალურგის", ლენინგრადის ელექტრო ტექნიკური ინსტიტუტის, კიევის „დინამოსა" და როსტოვის „ბურევესტნიკის" კოლექტივები.

გათამაშების ცხრილი

ვაჟები

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ბურევესტნიკი" — ალმა-ატა	5	4	1	304 : 250	8
ცსკმო — მოსკოვი	5	4	1	353 : 316	8
სვერდლოვსკი	5	3	2	304 : 306	6
„სპარტაკი" — რიგა	5	2	3	276 : 259	4
„სპარტაკი" — მოსკოვი	5	2	3	308 : 352	4
„ბურევესტნიკი" — კიევი	5	0	5	312 : 374	0
ოსკ — რიგა	—	—	—	—	—
„ჟალგირისი" — კაუნასი	—	—	—	—	—
„დინამო" — თბილისი	—	—	—	—	—
„დინამო" — მოსკოვი	—	—	—	—	—
„ბურევესტნიკი" — ლენინგრადი	—	—	—	—	—
„კალევი" — ტარტუ	—	—	—	—	—

ქალები

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
მაი — მოსკოვი	5	5	0	341 : 253	10
„დინამო" — მოსკოვი	5	3	2	313 : 260	6
„მეტალურგი" — მოსკოვი	5	3	2	262 : 254	6
„ბურევესტნიკი" — როსტოვი	5	3	2	263 : 299	6
ლეტი — ლენინგრადი	5	1	4	262 : 281	2
„დინამო" — კიევი	5	0	5	245 : 339	0
„სტროიტელი" — მოსკოვი	—	—	—	—	—
„ჟალგირისი" — კაუნასი	—	—	—	—	—
„ბურევესტნიკი" — თბილისი	—	—	—	—	—
„კალევი" — ტარტუ	—	—	—	—	—
„დაუგავა" — რიგა	—	—	—	—	—
„ბურევესტნიკი" — ლენინგრადი	—	—	—	—	—

შენიშვნა: ის გუნდები, რომლებსაც ცხრილში შედეგი არ უწერიათ, შეჯიბრებას დაიწყებენ 2 თებერვალს ლენინგრადში.

როდესაც XVI ოლიმპიადის პრიზიორი ბ. ნიკიტინი ვარჯიშობს აუზში, მას გარსშემოერტყმიან ხოლმე მისი ნორჩი კოლეგები და დიდი ცნობისმოყვარეობით ისმენენ მის ნაამბობს განვლილი ასპარეზობის შესახებ.

სურათზე: ბ. ნიკიტინი (მარჯვნივ) დამწყებ მოცურავეთა შორის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს?

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ბრძოლა ლიდერობისათვის სულ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ამაზე მეტყველებს ჩემპიონატის VI ტურიც. მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღება თავიდანვე მიიქცია ტალ-ნეჟმეტდინოვის პარტიამ, რადგან ორიგინალურად გათამაშებული ფრანგული დაცვა საინტერესო ბრძოლის მომასწავებელი იყო.

მაგრამ ვიდრე ამ პარტიაში ამაღელვებელი მომენტები შეიქმნებოდა, მსაჯებმა სხვა სამ შეხვედრაში ყაიმი აღნიშნეს. ბანიკმა შავებით კარგად გაითამაშა გრიუნფელდის დაცვა ტაიმანოვის წინააღმდეგ და სავსებით გაათანაბრა მდგომარეობა. წყნარი თამაშით კერესი და პეტროსიანი უკვე მე-20 სვლისათვის მივიდნენ ყაიმამდე, ხოლო ბოლესლავსკის აქტიურობა არონინთან უშედეგოდ დამთავრდა და 22-ე სვლაზე ყაიმი იყო ფიქსირებული.

ნეჟმეტდინოვმა ტალს ცენტრი დააპყრობინა. შეიქმნა საშიშროება, რომ ცაიტნოტში ყაზანელმა ოსტატმა შეიძლება ვერ მოასწროს გადამწყვეტი იერიშის მიტანა. მაგრამ ნეჟმეტდინოვმა ორი სხარტი სვლით უკუაგდო შავების ფიგურები, დაეუფლა ცენტრს და შეიჭრა ტალის ბანაკში. 29-ე სვლაზე გამოუვალი შამათის გამო ტალი დანებდა.

ჯერ კიდევ არ იყო ეს საინტერესო პარტია დამთავრებული, როცა ყველამ ყურადღება ფურმან-გურგენიძის პარტიაზე გადაიტანა. აქ კი ქართველი ოსტატი, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა მეტოქის ძნელად შესამჩნევი სადებიუტო შეცდომა, ჩინებულად უტევდა. როდესაც ფურმანის მეფეს გურგენიძემ შემოაცალა პაიკთა საფარი, იგი იძულებული გახდა ერთი ფრთიდან მეორეზე წასულიყო. მაგრამ გურგენიძის ფიგურები დაედევნენ ბრძოლის ველიდან გაქცეულ მეფეს და დაფის შუაგულში დააშამათეს.

სპასკი-ხოლმოვის პარტია გადადებულია გამოურკვეველ მდგომარეობაში. გადადებულია აგრეთვე ჩემპიონატის ყველაზე მოხუცების ტოლუშისა და მიკენასის (თვითეული მათგანი 47 წლისაა) პარტია. უპირატესობა ტოლუშის მხარეზეა. ბრონშტეინი კორჩნოისთან შეწყვეტილ პოზიციაში აგებს პაიკს. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე სტოლიარ-კლამანისა და ანტოშინ-არონსონის პარტიები.

ხასინმა ადვილად უვნებელყო ტარასოვის უსაფუძვლო იერიში და 38-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ამრიგად, VI ტურის შემდეგ წინ არიან მ. ტალი (4,5 ქულა), ტ. პეტროსიანი, ლ. არონინი (4 ქულა თვითეულს), ა. ტოლუში, ბ. სპასკი (3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია თვითეულს).

სამეცნიერო კონფერენცია

გუშინ საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიხსნა სამეცნიერო-საკვლევო და მეთოდური შრომების განხილვისადმი მიძღვნილი ინსტიტუტის XVI სამეცნიერო კონფერენცია.

პირველი დღის სხდომაზე ინსტიტუტის დირექტორის ა. ფალავანდიშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები:

მარქსიზმ-ლენინიზმი ადამიანის ფიზიკური და მორალურ-ნებელობითი თვისებების მნიშვნელობისა და მათი აღზრდის შესახებ. — **ა. ციბაძე.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა საქართველოში მყოფ ჯარის ნაწილებზე — **ი. მამულაშვილი.** მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალიზმში გადასვლის ფორმების სხვადასხვაობის შესახებ. — **ვ. ჭანუყვაძე.** თბილისის ბავშვთა სპორტულ სკოლებში სპორტულ ტანვარჯიშში ადრეული სპეციალიზაციის გამოცდილების განზოგადება. — **დოც. დ. ჩიკვაიძე.** თანრიგოსანი მოცურავეების სპორტულ წვრთნაში სუნთქვის დოზირებული შეკავების გამოყენების შესახებ. — **ს. ილინი.**

დღეს მოეწყობა ორი სხდომა. დილის სხდომაზე, რომელიც 10 საათზე დაიწყება, მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები:

ელექტროფიცირებული ხელსაწყო ფარიკაობაში შეჯიბრების ქრონომეტრაჟისათვის. — **დოც. ლ. გოლოვნია.** ადამიანის მხრისა და წინამხრის კუნთოვანი არტერიების მიკრომორფოლოგიური თავისებურებანი. — **დოც. შ. ქანტურია.** ადამიანის კუჭის კუნთების ვასკულარიზაცია. — **ვ. გორდეზიანი.** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის მომზადების გამოცდილების განზოგადება — სპორტის დამსახურებული ოსტატი **ა. წერეთელი.** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის წვრთნის გამოცდილების გაზიარება. — **ე. ანტონოვი.** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს მარათონელთა მომზადების გამოცდილების განზოგადება. — **ლ. გიორგაძე.**

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნება: **ო. ლაკერბაის** მოხსენება — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს ათლეტთა მომზადების გამოცდილების განზოგადება. **შ. კილაძე** წაიკითხავს მოხსენებას — საქართველოს სსრ ნაკრები გუნდის ბადროს მტყორცნელთა წვრთნის გამოცდილება 1955-56 წლებში.

სპორტის დამსახურებული ოსტატი **გ. ბაბილოძე** წაიკითხავს მოხსენებას — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წვრთნის გამოცდილების შესახებ. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის წვრთნის გამოცდილების შესახებ კონფერენციას მოუთხრობენ **ს. ილინი და ე. მაროტი.** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მომზადების გამოცდილების განზოგადებაზე ილაპარაკებს **გ. ვარძელაშვილი.** კონფერენციის მუშაობას შეაჯამებს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დოცენტი ვ. ელაშვილი.

წავიკითხოთ ეს წიგნი

«ევერესტის დაპყრობა»

მსოფლიოში ყველაზე მაღალ მწვერვალს, რომელიც ტიბეტისა და ნეპალის საზღვარზე მდებარეობს, ადგილობრივი მკვიდრნი ჯომოლუნგმას უწოდებენ, რაც თარგმანში სამყაროს ღვთაებას ნიშნავს და კარგად გამოხატავს იმ გრანდიოზულ შთაბეჭდილებას, რასაც ეს გოლიათური აღნაგობის მწვერვალი იწვევს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში ამ ადგილებში მუშაობდნენ ინგლისელი სპეციალისტები, რომელთაც გამოარკვიეს, რომ ჯომოლუნგმა მსოფლიოში უმაღლესი მთაა და მისი სიმაღლე 8.850 მეტრს აღემატება. გეოდეზისტებს არც კი უცდიათ მწვერვალის ადგილობრივი სახელის გამორკვევა და მას გეოდეზიურ სამუშაოთა ერთ-ერთი ორგანიზატორის — ევერესტის სახელი უწოდეს. რასაკვირველია, ეს არ იყო სამართლიანი ნაბიჯი. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისთვის, კავკასიონიც კმარა. ვთქვათ, რომელიმე უცხოელს, რომელიც პირველად ავიდა უშბაზე, ან გამოიკვლია მყინვარწვერი, ახალი სახელით მოენათლა ჩვენი საყვარელი მწვერვალები და ასევე გაევრცელებინა მსოფლიო რუკებში. ასეა თუ ისე, ახლა უკვე ფაქტია, რომ ჯომოლუნგმას მსოფლიოში სწორედ ევერესტის სახელით იცნობენ.

ჩვენს საუკუნეში, როცა ალპინიზმმა სწრაფი ტემპით იწყო განვითარება, ევერესტი განსაკუთრებული ყურადღების არეში მოექცა. უკვე 1921 წელს, ინგლისელმა მთამსვლელებმა პირველი იერიში მიიტანეს ჰიმალაის მთიანეთის გიგანტზე. ამით დაიწყო ევერესტისათვის ბრძოლის დაუვიწყარი ეპოპეა. ბრძოლაში ჩაება თითქმის ყველა ქვეყნის პირველხარისხოვანი მთამსვლელი. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ინგლისელებმა სხვადასხვა დროს ცხრაჯერ სცადეს მწვერვალის დაპყრობა და რამდენჯერ სულ რაღაც ასიოდე მეტრით იყვნენ დაშორებულნი თავის დიად ამოცანას. სასტიკ ბრძოლაში დაიღუპა რამდენიმე ალპინისტი. საკმარისია აქ გავიხსენოთ სახელგანთქმული მთამსვლელი მელორი და ახალგაზრდა ირვინი. მათ თითქმის მიაღწიეს მწვერვალს. ეს ტრაგიკული ამბავი დღესაც საიდუმლოებითაა მოცული.

მთამსვლელები უკან არ იხევდნენ და პირველი ასვლიდან 30 წლის შემდეგ, 1952 წელს, შვეიცარიელთა ექსპედიციამ თითქმის მიაღწია კიდეც მწვერვალს. ცნობილ შვეიცარიელ მთამსვლელს ლამბერსა და ნეპალელ ნორკ ტენსინგს 8600 მეტრზე მეტ სიმაღლიდან მოუხდათ დაბრუნება. ეს მოხდა გაზაფხულზე და შვეიცარიელები კიდევ არ კარგავდნენ იმედს. ჰიმალაებში, როგორც ეს ცნობილია, ზაფხულში არ შეიძლება სამთო ოპერაციების ჩატარება, რადგან მაისის დამლევიდან სექტემბრამდე აქ მძვინვარებს საშინელი ქარები. ე. წ. მუსონები და ამიტომაც, მთელ იმედებს საშემოდგომო ასვლაზე ამყარებდნენ. არც ახალ ცდას ეწერა გამარჯვება, რადგან მიუხედავად მუსონების დროებით შეწყვეტისა, წლის ამ დროს ბევრად უფრო მკაცრია საიერიშო პირობები. საშინლად განაწამებმა მთამსვლელებმა ძლივს დააღწიეს თავი ზვავებსა და ქარიშხალს.

შვეიცარიელთა ექსპედიცია მძიმე ბრძოლას ეწეოდა ევერესტის კალთებზე როცა ინგლისში დაიწყო მზადება მეათე იერიშისათვის. იმ შემთხვევაში თუ შვეიცარიელები დამარცხდებოდნენ, ინგლისელ მთამსვლელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ კიდევ ერთი მედგარი ბრძოლა გაემართათ მრისხანე ევერესტისათვის და უნდა ითქვას, რომ ეს სამზადისი ჩატარდა რაღაც განსაკუთრებული აღმავლობითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, რაც თავის მხრივ უეჭველი წინა პირობა იყო მომავალი გამარჯვებისათვის. მთამსვლელთა წამოწყებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა ინგლისის მოსახლეობაში. მართლაც, 1952 წლის დეკემბრისათვის, როდესაც ყველასათვის ცნობილი გახდა შვეიცარიელ ალპინისტთა უკანდახევა, ევერესტის ახალი ექსპედიცია საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

როდესაც ინგლისელ მთამსვლელთა წინაშე კიდევ ერთხელ დადგა ევერესტის დაპყრობის ურთულესი ამოცანა, ზოგი რამ მწვერვალის თავდაცვის არსენალიდან უკვე კარგად იყო ცნობილი. ექსპედიცია გულმოდგინედ სწავლობდა ევერესტისათვის 30-წლიანი ბრძოლის მდიდარ გამოცდილებას ყოველი სიმაღლოვანი ასვლის დროს და ეს განსაკუთრებით ევერესტზე ვრცელდება, არსებობს სამი უმთავრესი კატეგორიის სიძნელე — პირველი ეს არის სიმაღლე, მეორე — მეტეოროლოგიური ცვალებადობა და მესამე — ტექნიკური სიძნელე. ახალმა ექსპედიციამ ყველა ეს დაბრკოლება ზუსტად გაითვალისწინა. სიმაღლის დაძლევის საკითხში მართებულად გადაწყდა, რომ ალპინიზმის თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია მიღწეულ იქნას 8850 მეტრის სიმაღლე თუ არ გამოვიყენებთ ჟანგბადის ხელსაწყოებს. ევერესტისათვის ბრძოლის ისტორიამ ცხადჰყო, რომ 8000 მეტრის ზევით თვით უძლიერესი ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანსაც აღარ შეუძლია ებრძოლოს უჰაერობასა და მკაცრ სამთო პირობებს. ამიტომაც, დიდი ხნით ადრე ექსპედიციის გამგზავრებამდე გასინჯულ იქნა მრავალგვარი სახეობის ჟანგბადის ხელსაწყო.

საგულისხმოა ევერესტისათვის პირველი ბრძოლების აქტიური მონაწილის ნორტონის დაყენებული მოთხოვნა. — ჰიმალაის ოპერაციების მთელი ისტორია, — აღნიშნავს იგი, — ხაზს უსვამს იმ ვითარებას, რომ დასკვნითი იერიშები წარმოებდა ბანაკიდან, რომელიც არ იყო ატანილი სათანადო სიმაღლეზე. მოიერიშე გუნდები მარცხდებოდნენ, რადგან მათ უკანასკნელ დღეს გზის მეტად გრძელი მონაკვეთი უნდა გადაელახათ... ეცადეთ და კვლავ ეცადეთ, რომ თქვენი საიერიშო ბანაკი აიტანოთ ევერესტის თვით სამხრეთ წვეროზე (8750 მეტ.) და თუნდაც ამ პიკის მახლობლად... წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვება აშკარად საეჭვო იქნება. ერთი შეხედვით ნორტონის ეს მოთხოვნა მართლაც აქსიომაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით... 30 წლის მანძილზე ვერც ერთმა ექსპედიციამ ვერ შეძლო ამ აქსიომის „ამოხსნა“ და აქაც პირველობა 1953 წლის ექსპედიციას ეკუთვნის: საიერიშო ბანაკი მოთავსებული იქნა 8500 მეტრზე მაღლა. რაც შეეხება მეტეოროლოგიურ სიძნელეებს, აქაც ზოგი რამ უკვე ცნობილი იყო.

საწვრთნელი მუშაობის შედეგად, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა თვით ევერესტის მიდამოებში, შეირჩა მოიერიშეთა მძლავრი გუნდი, მეტროპოლიის მთამსვლელებთან ერთად ექსპედიციაში მიიწვიეს ორი ცნობილი მთამსვლელი ახალი ზელანდიიდან ედმუნდ ჰილარი და ჯორჯ ლოუ. მოიერიშეთა შორის აღმოჩნდა ნეპალელი შერპი ნორკ ტენსინგიც, რომელმაც წინა წელიწადს შვეიცარიელ ლამბერთან ერთად 8600 მეტრამდეც კი მიაღწია. მისი გამოცდილება და გზის შესანიშნავი ცოდნა დაუფასებელი იყო ახალი ექსპედიციისათვის.

ექსპედიციის ხელმძღვანელად შერჩეულ იქნა ჰიმალაების შესანიშნავი მცოდნე, მთამსვლელი ჯონ ჰანტი, რომელმაც გამოიჩინა მაღალი ორგანიზატორული ნიჭი, რაც აუცილებელი პირობაა სიმაღლოვანი ასვლების დროს. ყოველივე ამას ამაოდ არ ჩაუვლია. 1953 წლის მაისის დამლევს ალპინიზმის ისტორიაში ჩაიწერა დაუვიწყარი ფურცელი. მთელი ექსპედიციის ერთსულოვანი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ ორმა სახელოვანმა მთამსვლელმა ინგლისელმა ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალის მკვიდრმა ნორკ ტენსინგმა ფეხი შედგეს მსოფლიოში ყველაზე მაღალ მწვერვალზე. ეს იყო ევერესტის 30-წლიანი ეპოპეის ბრწყინვალე დასასრული.

მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა სხვადასხვა ტომისა და ეროვნების ხალხები დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ცნობას და იგი მიიღეს, როგორც ადამიანის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ბუნებაზე. მწვერვალიდან დაბრუნების მთელი გზა ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა. ყველას აინტერესებდა ევერესტის გმირთა თავგადასავალი, თვალით ენახა ან რაიმე წაეკითხა მათ შესახებ. მართლაც, მოკლე დროში უკვე დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა ევერესტის გარშემო. ამ მხრივ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს 1953 წლის ექსპედიციის უფროსის ჯონ ჰანტის შემაჯამებელი ნაშრომი „ევერესტის დაპყრობა“. უკვე გამოვიდა ამ წიგნის გამეორებითი გამოცემები, არამარტო ინგლისურად, არამედ სხვა ხალხების ენებზეც. ამ რამდენიმე ხნის წინ მოსკოვის საზღვარგარეთული ლიტერატურის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ჯონ ჰანტის აღნიშნული წიგნის რუსული თარგმანი. ჯონ ჰანტის ამ წიგნით საბჭოთა მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს 1953 წლის სახელოვანი ექსპედიციის ძირითად მომენტებს.

ავტორი მოგვითხრობს ექსპედიციის მთელ მიმდინარეობას. დეტალურად აღწერს ექსპედიციის მზადებას, საჭურველს, ტექნიკური რთული უბნების გადალახვის შემთხვევებს და მყინვარებზე მოძრაობის საოცრად ზუსტ ორგანიზაციას. დიდი ემოციით არის დაწერილი ის თავები, რომელიც ეხება დასკვნით იერიშებს. ჯონ ჰანტი სრულიად სამართლიანად, მოიერიშე მთამსვლელებთან ერთად მაღალ შეფასებას აძლევს შერპების მზიდავების თავგანწირულ მოქმედებასაც. თვით ედმუნდ ჰილარის ჩანაწერების მიხედვით არის შესრულებული წიგნის ის თავი, რომელიც მწვერვალის დამარცხებაზე მოგვითხრობს. საერთოდ კი, ჯონ ჰანტის აღნიშნულ ნაშრომს მეტ დაძაბულობას ანიჭებს ის, რომ აქ ყოველ სტრიქონში იგრძნობა ავტორის უშუალო მონაწილეობა ბუნებასთან გამართულ გრანდიოზულ ბრძოლაში. როგორც ცნობილია, თვით ჯონ ჰანტმა მიაღწია 8350 მეტრ სიმაღლეს და ექსპედიციის სხვა მონაწილეებთან ერთად მოიერიშეებს ყველა პირობა შეუქმნა გადამწყვეტი დარტყმისათვის.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ავტორი არ ჯერდება ამბების ემპირიულ გადმოცემას და ცდილობს ყოველ კონკრეტულ მომენტში სათანადო დასკვნები გამოიტანოს ექსპედიციის როგორც მართებული ასევე მცდარი ნაბიჯებიდან. ეჭვი არაა, რომ წიგნი ამ მხრივაც დიდ დახმარებას გაუწევს მომავალ მაღალსიმაღლოვან ექსპედიციებს. ასევე დიდი შემეცნებითი ღირებულებისაა წიგნის დამატებითი თავები, სადაც ავტორი სპეციალურად ჩერდება ალპინისტის ახალი ტიპის სამთო საჭურველზე, ჟანგბადის ხელსაწყოებზე, სამთო ფიზიოლოგიაზე, ტრანსპორტირების ზოგიერთ თავისებურებებზე და ა. შ.

ჯონ ჰანტის ამ წიგნს, რომელიც დაწერილია ცოცხალი ენით, სიამოვნებით წაიკითხავს ყველა, ვისაც კი აინტერესებს ევერესტისათვის ბრძოლის სახელოვანი ამბები. სასურველი იქნებოდა, რომ „ევერესტის დაპყრობა“ ქართულ ენაზეც იყოს თარგმნილი.

სარგის ცაიშვილი
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბული ბრძოლებისა და დიდების დღეები

◆

დ. ციმაკურიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი

◆

მძლეოსნობას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დასაბამიდან წამყვანი ადგილი ეკავა. მელბურნშიც სპორტის ეს სახეობა საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ყველაზე მხურვალე ოვაციები, ყველაზე მეტი მილოცვები ოლიმპიადის დღეებში მძლეოსნების მისამართით იგზავნებოდა. მელბურნში ამა თუ იმ მძლეოსნის გამარჯვებას ზეიმობდნენ, როგორც გმირის დღესასწაულს. ამიტომ სავსებით გასაგებია ის საერთო აღტაცება, რაც ყველასათვის უცნობ ახალზელანდიელი რიდის გამარჯვებამ გამოიწვია.

მაგრამ აქ საჭიროა მკითხველს ზოგიერთი განმარტება მივაწოდოთ. საქმე იმაშია, რომ რიდი უცნობი იყო არა მარტო უცხოელებისათვის, არამედ თავისი თანამემამულეებისათვისაც. რიდის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე ზუსტი ცნობები მართალია არა გვაქვს, მაგრამ ცნობილია ის, რომ რიდი, როგორც შედარებით „სუსტი და უპერსპექტივო“ სპორტსმენი ახალ ზელანდიელებმა თავიანთ ეროვნულ ნაკრებში არ ჩარიცხეს. როგორც ჩანს, რიდმა არ გაიზიარა ავტორიტეტული კომისიის ასეთი გადაწყვეტილება და ოლიმპიურ თამაშებში ერთპიროვნულად მონაწილეობა სცადა. რიდი ახალი ზელანდიიდან თავისი სახსრებით ეწვია მელბურნს და მონაწილეობა მიიღო 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში.

თავდაპირველად მას ყურადღებას არავინ აქცევდა. არც რიდი აქცევდა ყურადღებას რადიოკომენტატორების იმ ინფორმაციებს, რომელიც შეჯიბრების მონაწილეებს მთელ ტრასაზე მიყვებოდა თან. სიარულს ლიდერობდა სახელგანთქმული მოსიარულე — გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი საბჭოთა სპორტსმენი ლავროვი და მთელი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ მოხდა ისე, რომ მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრების წესების დარღვევისათვის მოხსნა ლავროვი. ამ დროს ახალზელანდიელი ლიდერთა სათავეში მოექცა. ახლა კი რიდის სახელი გადაიქცა ამ დღის სენსაციად. 100.000 მაყურებელი აღტაცებული შეხვდა რიდის გამოჩენას „კრიკეტ გრაუნდის“ სტადიონზე და ფინიშის ხაზის გადალახვის შემდეგ იგი ხელში აყვანილი მიიყვანეს გასახდელამდე.

ახალი ზელანდიის დელეგაციამ მიიღო რიგ გარეშე ოქროს მედალი, რომელსაც იგი სრულებით არ ანგარიშობდა. რიდი უკვე არხეინად იყო. იგი აღარ ზრუნავდა, აღარ წუხდა სამშობლოში უკან დაბრუნების ორგანიზაციაზე. რიდი თავისი ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად დაბრუნდა ახალზელანდიაში, როგორც ყველაზე სასახელო და საპატიო მოქალაქე.

ამერიკელი მძლეოსნები გარდა იმისა რომ მაღალტექნიკურები არიან, გამარჯვებისათვის, როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. ჩვენ ვნახეთ ბევრი ამერიკელი მორბენალი, რომელიც ფინიშის შემდეგ გულწასული ეცემოდა მიწაზე. ვნახეთ ისეთი სპორტსმენებიც, რომლებიც ფინიშთან უკანასკნელნი მოდიოდნენ—მათ არც გული მისდიოდათ და არც ეცემოდნენ. პირიქით რბენის დამთავრების შემდეგ ისინი გამოიყურებოდნენ ისევე მშვიდად და ჯანსაღად, როგორც რბენის დაწყებამდე. მაყურებლის სიმპატიები რასაკვირველია, პირველების მხარეს იყო და ეს არც არის გასაკვირი.

როდესაც ურუგვაელი კალათბურთელი საჯარიმო სროლის შესრულების შემდეგ გაოგნებული ეცემოდა მიწაზე, მას არავინ დასცინოდა. პირიქით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა აზარტის ასეთ განუზომელ გრძნობას. როდესაც ფინელ კარვონენს მარათონულ რბენაში დაძაბულობისაგან და სიცხისაგან გული წაუვიდა, ხალხმა იგი ხელში აყვანილი მიიყვანა საექიმო კარეტამდე. მაყურებელი თაყვანს სცემს სპორტსმენთა თავგანწირვას, აფასებს მათ თავდავიწყებულ ექსტაზს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვების მტკიცე საწინდარია.

ამიტომ ამერიკელ მძლეოსნებთან ერთად საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა საბჭოთა მძლეოსნების ერთი ჯგუფი, რომელსაც ფრანგულმა გაზეთმა ეკიპმა „4 კას“ გუნდი შეარქვა. კუცი, კაშკაროვი, კრივონოსოვი და კუზნეცოვი — ეს სახელოვანი კვარტეტი ანუ „4-კ“ ისეთივე პოპულარულნი იყვნენ მელბურნში, როგორც მოროუ ან ობრაიენი. „4-კში“ მხოლოდ კუცმა მოიპოვა ოქროს მედალი, მაგრამ დანარჩენების გამოსვლა და, რაც მთავარია, ბრძოლა ოქროს მედლისათვის ისეთი პრინციპული და ვაჟკაცური იყო, რომ არ შეიძლებოდა აღფრთოვანებაში არ მოსულიყავით. სწორედ ამ სახელოვანმა ოთხეულმა 5 მედალი მოუტანა საბჭოთა გუნდს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი მძლეოსნები უდაოდ უძლიერესები იყვნენ, მათ ღირსეულ წინააღმდეგობას მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენები უწევდნენ. ამიტომ მელბურნში არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ 1957 წლის ზაფხულში მოსკოვში განზრახულია ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელთა ამხანაგური მატჩის მოწყობა. „თუ მოეწყო ეს საუკუნის მატჩი, — განაცხადა ვლადიმერ კუცმა კორესპონდენტთან საუბარში, — მე და ჩემი ამხანაგები შევეცდებით არ შევირცხვინოთ თავი“. ამერიკელ მძლეოსნებს გულით სურთ მოსკოვში ჩამოსვლა, საბჭოთა მაყურებლებთან გაცნობა და ამიტომ ისინი მოუთმენლად ელიან ამ ამბის კეთილად დაგვირგვინებას.

საერთოდ მელბურნში ამერიკელ და საბჭოთა სპორტსმენებს შორის არაჩვეულებრივად გულთბილი და მეგობრული კონტაქტი იყო დამყარებული. ეს შეიძლება ზოგიერთ რეაქციულ წრეებს არც კი სიამოვნებდათ, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა, და ვერავითარი გარეშე ძალა ვერ გაბედავდა მის დარღვევას.

ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას მელბურნს ამერიკული ხომალდების ესკადრა ეწვია. ესკადრის ხელმძღვანელმა, უმაღლესი საზღვაო რანგის კაპიტანმა ინახულა მოკრივეთა დარბაზი, სადაც შეერთებული შტატების და საბჭოთა მოკრივეები ებრძოდნენ ერთმანეთს ფინალში გასასვლელად. კაპიტანი პირადად ესაუბრა რამდენიმე საბჭოთა მოკრივეს და შემდეგ ხმამაღლა განაცხადა:

—რუსები ჩინებული ბიჭები არიან!

მელბურნში, ოლიმპიური თამაშების საპატიო სტუმართა შორის იყო ერთ დროს სახელგანთქმული ზანგი მძლეოსანი, ბერლინის ოლიმპიადის გმირი, „შავი ექსპრესი“ ჯესი ოუენსი. მექსიკური სამბრეროს მსგავს შლიაპაში გამოწყობილი, მხარზე ფოტოაპარატგადაკიდებული. ოუენსი ყველა სპორტული შეჯიბრების სტუმარი იყო. განსაკუთრებით ხშირად მას მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ნახავდით. ოუენსი აქ უბრალო მეთვალყურის როლით არ კმაყოფილდებოდა. იგი ხშირად ერეოდა სპორტსმენთა ვარჯიშის საკითხებში და ბევრ საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდა მათ.

როდესაც ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა რიჩარდსმა საკონტროლო შეჯიბრებაზე შედარებით იოლი სიმაღლე ვერ დაძლია, იგი ოუენსმა სავარჯიშო მოედანზე გაიყვანა. რიჩარდსმა ადვილად დაძლია საბედისწერო სიმაღლე სულ ცოტა ოცჯერ და შემდეგ შეჯიბრებაზეც პირველსავე მისვლაზე აიღო იგი. გაზეთებმა ეს ოუენსის მაგიურ ძალას მიაწერეს, თვითონ ზანგმა კი ღიმილით განაცხადა:

— მე რიჩარდსი მხოლოდ იმაში დავარწმუნე, რომ „საბედისწერო“ სიმაღლე მისთვის ანბანია.

მელბურნის ერთერთ ბარში, რომელიც პორტთან სულ ახლოს მდებარეობდა, დოკერებმა ოუენსს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. ზანგი მძლეოსანი აქ სრულიად შემთხვევით შემოვიდა და იგი შეიძლება შეუმჩნევლადვე გასულიყო, რომ ერთერთ დოკერს არ ეცნო. ოუენსის ირგვლივ ასამდე ცნობისმოყვარე შემოიკრიბა. დოკერი, რომელმაც იცნო ოუენსი წამით გაუჩინარდა, შემდეგ კი მიუახლოვდა ზანგს და რაღაც ბლოკნოტი აჩვენა. ჟამთა სვლით გაყვითლებულ და ფერდაკარგულ ქაღალდზე შეიძლებოდა ამოგვეკითხათ: „ბერლინი 1936 წელი“ და შემდეგ ხელმოწერა — „ჯესი ოუენსი“. გაოცდა ზანგი, დოკერი კი გაბრწყინებული თვალებით დაყურებდა ქაღალდს, რომელიც მოწმობდა, რომ იგი ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე „გამოჩენილი ზანგის“ ბრწყინვალე გამარჯვებების დამსწრე ყოფილა. ამ ამაღელვებელ სცენას თვალყურს ადევნებდა ერთერთი გაზეთის რეპორტიორიც, მაგრამ მან ეს ამბავი არ ჩათვალა ღირსშესანიშნავ ფაქტად და მაშასადამე, არც გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალად.

მელბურნი

სამაგიეროდ, იმავე რეპორტიორმა ყვირილით ამცნო მელბურნს, რომ 1952 და 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქალთა შორის წყალში ხტომაში, ამერიკელი პატრიცია მაკ-კორმიკი შეერთებულ შტატებში საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს და დააჯილდოვეს „ჯემს სულივანის მემორიალური ჯილდოთი“. ჩვენ არაფერი არ გვაქვს ამის საწინააღმდეგო, პირიქით, მივესალმებით კიდეც ამ სასიამოვნო ფაქტს, მაგრამ არაფერს არ გვაძლევს ისეთი ცნობა, რომელიც ამ ინფორმაციის გვერდით იყო დაბეჭდილი:

„კლასიკურ ჭიდაობაში შეჯიბრების დროს, საჭიდაო ხალიჩაზე 6 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა 1.500 სანთლიანი ნათურა. საბედნიეროდ მოჭიდავეები ამ დროს სარბიელზე არ იყვნენ. ავსტრალიელმა მოჭიდავემ ფრედ ფლანერიმ ნამსხვრევების გადაყრა მოინდომა, მაგრამ დაიწვა ხელი. მიუხედავად ამისა მან ნახევარი საათის შემდეგ მოუგო შეხვედრა კორეელ ლონგ-კა-პენს“. თუ ამ ცნობის მიზანი ავსტრალიელი სპორტსმენის თავგანწირვის ჩვენება იყო, ბევრი სხვა უკეთესი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, სადაც მასპინძლები მართლაც, ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ოლიმპიელი სტუმრებისათვის.

როგორც რიგით ოლიმპიელს სხვებთან ერთად მეც მყავდა ფავორიტი ან სხვაგვარად რომ ვთქვათ სპორტსმენი, რომელმაც ყველაზე დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. მხედველობაში მყავს ზანგი კალათბურთელი ბილ რასელი — ყველა დროის საუკეთესო ცენტრი მსოფლიოში. რასელი მაღალია (დაახლოებით 207 სანტიმეტრი), მაგრამ ტურნირში ათამდე სპორტსმენი იყო მასზე მაღალი. „პატარა ბილი“ — ასე ეძახდნენ მას გუნდის წევრები — ფენომენალური მონაცემების სპორტსმენია. 400 მეტრს იგი 49 წამის ფარგლებში გარბის, სიმაღლეზე კი 202 სანტიმეტრზე ხტება. ეს იმას ნიშნავს, რომ რასელი თამაშის დროს ფარის ზედა კიდურს წვდებოდა ხელით. ყველაზე უფრო გამაოცა იმან, რომ რასელი ჰაერში ყოფნისას ნაბიჯებს აკეთებს. ეს ნაბიჯები ისეთი ნაყოფიერი არ არის, როგორც ვთქვათ მიწაზე, მაგრამ ადგილის გადანაცვლებაში იგი გარკვეულად ეხმარება სპორტსმენს.

ბილ რასელი თავის გუნდში უდაოდ პრემიერია. იგი გონებამახვილურად დირიჟორობს პარტნიორების თამაშს და ამავე დროს ყველა იერიშის სულისჩამდგმელია. რასელის კისერზე გადადის ბრძოლის მთელი სიმძაფრე.

ჯერ კიდევ მელბურნში ლაპარაკობდნენ, რომ ბილ რასელი ოლიმპიური თამაშების შემდეგ პროფესიონალებში აპირებს გადასვლასო. „ჰარლემ გლობ ტროტერსის“ გუნდს — ამერიკელი პროფესიონალური კალათბურთის ამ ნამდვილ აკადემიას — რასელი სჭირდება როგორც ჰაერი, რადგან ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავი ზანგი რიჩ გუს ტატუმი ასაკის გამო უკვე თმობს პოზიციებს. რასელს ზღაპრული თანხა შესთავაზა „ჰარლემის“ პატრონმა და, როგორც ჩანს, იგი დათანხმდა პროფესიონალებში გადასვლაზე. ძალზე საწყენია, რომ კალათბურთის სამყარომ დაკარგა თავისი ყველაზე უფრო გამოჩენილი და ბრწყინვალე წარმომადგენელი.

დამთავრდა ოლიმპიური თამაშები. დაცარიელდა საბჭოთა ქუჩა ოლიმპიურ სოფელში. გადავინაცვლეთ ადგილსამყოფელი მშობლიურ თბომავალ „გრუზიაზე“, რომელიც მელბურნის პორტში ინგლისის დედოფლის მეუღლის ედინბურგის ჰერცოგის პირადი იახტის გვერდით ამაყად იდგა. იმისათვის, რომ მოხსნას დროშები და საზეიმო პლაკატები, მელბურნს სულ რამდენიმე დღე დასჭირდება. მაგრამ გაივლის წლები და ქალაქი მაინც ვერ დაივიწყებს თამაშებს. მართალი იყო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრენდეჯი, როდესაც განაცხადა, რომ „მელბურნი იმ დღეებში მსოფლიოში ყველაზე უფრო ჰარმონიული ადგილი იყოვო“. ჩვენც ვეთანხმებით მას ამაში, მაგრამ...

...სამშობლოსაკენ! სამშობლოსაკენ!



★

ხანდრო კანდელაკი (მორიან ცალქალამანიძეს): მომილოცნია შვილო გამარჯვება, მაგრამ მიკვირს, ჩვენ დროს შენოდენა ფალავნები არ იყო.

★

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 7, 8, 9, 10, 11, 12, 13.

ანტარქტიდაში

ანტარქტიდა, ერთად-ერთი დაუსახლებელი მხარეა. თუმცა ამჟამად, მას, თამამად, შეიძლება ვუწოდოთ „მეცნიერთა კონტინენტი". ანტარქტიდის ზოგ რაიონში, წელიწადში 340 დღე სასტიკი ქარიშხალი მძვინვარებს, ხოლო ჰაერის ტემპერატურა მინუს 60° გრადუსს აღწევს. კონტინენტის ყინულოვანი ზედაპირი დაფარულია ნაპრალთა ხშირი ქსელით, რაც ძალზე სახიფათოს ხდის მოგზაურობას.

მეცნიერები დარწმუნდნენ იმაში, რომ ამ არასტუმართმოყვარე კონტინეტზე მუშაობის წარმატება დიდადაა დამოკიდებული ადამიანის ფიზიკურ გამძლეობაზე, ამტანობაზე. მაგალითისათვის გამოგვადგება რობერტ სკოტისა და რუალ ამუნდსენის პირველი იერიშები სამხრეთ პოლუსზე, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმატებით დამთავრდა. ამ წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა ის იყო, რომ პოლუსის მოიერიშე რაზმებში შედიოდნენ შესანიშნავი სპორტსმენები, რომლებიც განსაკუთრებით უბადლოდ ფლობდნენ თხილამურებს. ახალ ანტარქტიკულ ექსპედიციებში დიდი რაოდენობით მონაწილეობენ მეცნიერი-სპორტსმენები.

საბჭოთა პირველმა ექსპედიციამ ანტარქტიდას გასული წლის 5 იანვარს მიაღწია. ჰაერში აფრინდნენ თვითმფრინავები, ვერტმფრენები, კონტინენტს მიაშურა მოთხილამურეთა რაზმმა. მოკლე დროში „პრავდის" ნაპირზე, სადაც ბაზის მოსაწყობი ადგილი იქნა შერჩეული, გადმოტანილ იქნა ექსპედიციის მთელი ქონება. მშენებელთა თავდადებით კონტინენტის უკაცრიელ ადგილას, დაახლოებით 2 კმ სიგრძეზე გაშენდა სამეცნიერო ქალაქი, რომელსაც ანტარქტიდის აღმომჩენი რუსული ექსპედიციის ერთ-ერთი ხომალდის — „მირნის" სახელი მიეკუთვნა.

ექსპედიცია უმთავრესად მოსამზადებელ ხასიათს ატარებდა. ამიტომ მთავარი ბაზის ორგანიზაციის შემდეგ დაიწყო დაზვერვითი სამუშაოები შიდა კონტინენტური ბაზების მოსაწყობად. ექსპედიციის ერთ-ერთმა ჯგუფმა მ. სომოვის ხელმძღვანელობით მოაწყო ღრმა დაზვერვითი ფრენა გეომაგნიტური პოლუსისაკენ. თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა საბჭოთა კავშირის გმირი ი. ჩერევიჩნი, ანტარქტიდის სიღრმეში შეიჭრა 1.200 კმ-ით. უფრო მეტ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული შიდა კონტინენტური ლაშქრობა, რომელიც გასული წლის აპრილში მარხილ-ტრაქტორების მატარებლით და თხილამურებით განხორციელდა. „მირნიდან" 375 კმ გავლის შემდეგ, ზღვის დონიდან 2.700 მ სიმაღლეზე, მოწყობილ იქნა პირველი საბჭოთა შიდა კონტინენტური ბაზა, რომელსაც „პიონერსკაია" უწოდეს.

„პიონერსკაიაში" გამოსაზამთრებლად დარჩა ექვს-კაციანი ჯგუფი, ცნობილი ალპინისტის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გუსევის ხელმძღვანელობით. უკაცრიელ ყინულოვან უდაბნოში საბჭოთა კავშირის მამაცი მეცნიერი-სპორტსმენები ახდენდნენ მრავალფეროვან დაკვირვებებს, თხილამურებით ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს, ითორჩილებდნენ მწვერვალებს. „პიონერსკაიას" მოზამთრე საბჭოთა მეცნიერ-სპორტსმენთა დიდი გამარჯვება იყო იერიში მწვერვალ გაუსზე, რომელიც მიუვალი რელიეფისა და ქარიშხლიანი დღეების პირობებში განხორციელდა.

საბჭოთა სპორტსმენებმა მწვერვალზე მოხსნეს ავსტრალიელი მთამსვლელების სამახსოვრო ბარათი, რომელიც 1912 წლით იყო დათარიღებული. მწვერვალის მოიერიშე რაზმმა საინტერესო დაკვირვებები ჩაატარა მარშრუტის ტრასაზე და ბაზაში მშვიდობით დაბრუნდა.

სახმელეთო ექსპედიციის ერთი რაზმი პროფესორ ო. ვიალოვის ხელმძღვანელობით ეწეოდა სანაპირო რაიონების დაზვერვას. ამ რეისზე მკვლევართა ყურადღება მიიპყრო „მირნის" აღმოსავლეთის მდებარე ყინულებისაგან თავისუფალმა ტერიტორიამ, რომელიც 1947-48 წლებში აღმოაჩინეს ამერიკელმა მფრინავებმა. ეს ტერიტორია ბანგერის ოაზისის სახელითაა ცნობილი. აქ მოწყობილ იქნა ახალი სამეცნიერო ბაზა, რომელსაც „ოაზისი" ეწოდა.

იგი მატერიკზე ერთადერთი ადგილია, სადაც გაშიშვლებულია ზედაპირი და გვხვდება ცივი ანკარა წყაროები, მდინარეები, მოლივლივე ტბები. მრავალრიცხოვანი მოსაზრებანი, რომლებიც ოაზისის წარმოშობის შესახებ იყო გამოთქმული, საბჭოთა მეცნიერებმა უარყვეს. მათ დამაჯერებლად ახსნეს, რომ ანტარქტიკული ოაზისები წარმოიშვებიან ხელსაყრელი რელიეფის პირობებში, მზის რადიაციული მოვლენების შედეგად.

საბჭოთა მეცნიერებმა პირველებმა მოგვცეს ბანგერის ოაზისის კომპლექსური დახასიათება. გამოირკვა, რომ ანტარქტიდის სანაპირო კონტური, საბჭოთა ექსპედიციის სამოქმედო რაიონში, არ შეესაბამება სინამდვილეში არსებულს. იგი მოითხოვს არსებით შესწორებას და ჩრდილოეთით, რამდენიმე ათეული კილომეტრით გადაწევას; ამასთან მთელი რიგი რაიონები, რომლებიც ძველ რუკებზე ხმელეთის სახით არის გამოსახული, სინამდვილეში რამდენიმე ასეული მეტრის სიღრმის სანაპირო ზღვას უკავია. ასეთი შემთხვევა საბჭოთა მკვლევარებმა აღნიშნეს საბირნის მლწის რაიონში.

საბჭოთა ექსპედიციის მეორე შემადგენლობამ, რომელმაც ანტარქტიდას გასული წლის დეკემბერში მიაღწია, დაიწყო გაბედული იერიშები საბჭოთა ორი შიდა მატერიკული ბაზის „ვოსტოკისა" და „სოვეტსკაიას" შესაქმნელად. ამ რაიონებისაკენ უკვე გაემართნენ თვითმფრინავები, მარხილ-ტრაქტორების მატარებლები, მოთხილამურეთა მოიერიშე რაზმები. „სოვეტსკაია" ეწყობა „მირნიდან" 2.000, ხოლო „ვოსტოკი" — 1.500 კმ დაშორებით. ორივე ეს ბაზა ზღვის დონიდან 3.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მძიმე საგამოკვლევო პირობების სირთულით მათ ძნელად შეიძლება შევადაროთ ანტარქტიდის სხვა ტერიტორიები. შემთხვევითი როდი იყო, რომ საბჭოთა სახელმწიფოს გარდა ამ რაიონებში ბაზების მოწყობაზე უარი განაცხადა ყველა სახელმწიფომ. „სოვეტსკაიასა" და „ვოსტოკში", რომელთა გახსნა მიმდინარე წლის პირველი ივლისისათვისაა ნავარაუდევი, უმთავრესად იმუშავებენ ამტანი ადამიანები — მეცნიერი-სპორტსმენები.

სხვადასხვა სახელმწიფოს მეცნიერთა გამოკვლევების სფეროში შედის ანტარქტიდის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების, გეოლოგიური ისტორიის, გაყინვარების ისტორიის, მსოფლიო ოკეანეში ფაუნის ზონალური გავრცელების პოლარული და ტროპიკული წყლის მასების მოძრაობის თავისებურებათა გარკვევა, ანტარქტიკული ოლქის გეოფიზიკურ და ბიოლოგიურ მოვლენების შესწავლა, აერო და საზღვაო ნავიგაციის მეთოდების დამუშავება და სხვა საკითხები.

სამეცნიერო გამოკვლევებთან ერთდროულად განზრახულია დღემდე უცნობი ანტარქტიდის მწვერვალების დაპყრობა, ტრანსკონტინენტური სათხილამურო ლაშქრობის ჩატარება. ასე, მაგალითად, ანტარქტიდის სპორტულ ცხოვრებაში ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენა იქნება თხილამურებით 3.000 კმ სიგრძის მარშრუტის ჩატარება კონტინენტის ერთი კიდიდან მეორემდე. ამ მეტად რთული ლაშქრობის მოწყობა გადაწყვეტილი აქვთ ახალ ზელანდიელებისა და ინგლისელების ექსპედიციების მეცნიერ-სპორტსმენთა რაზმებს. ახალ ზელანდიელთა მოიერიშე რაზმი, რომელსაც სათავეში უდგს სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, ჩვენი პლანეტის უმაღლესი მწვერვალის— ევერესტის პირველი დამპყრობი — ედმუნდ ჰილარი, მარშრუტს დაიწყებს მაკ-მურდოს სრუტიდან, ხოლო ინგლისელები, გამოცდილი სპორტსმენის უ. ფუქსის ხელმძღვანელობით — კოტსის მიწიდან. შექმნილია მაშველი რაზმები, რომლებიც სურსათ-სანოვაგის საწყობებს აწყობენ მარშრუტის ტრასის გასწვრივ. ექსპედიციის მოიერიშე რაზმები ერთმანეთს შეხვდებიან პოლუსის რაიონში.

ზ. ტინტილოზოვი,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



საბჭოთა ბაზები ანტარქტიდაზე

სპორტული ქრონიკა

სტალინირში ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში ქალაქის ზამთრის 1957 წლის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა 10 და ქალთა 5 გუნდი.

ვაჟთა გუნდებს შორის ყველა შეხვედრა მოიგო პირველი საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა მეორე საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა.

ქალთა გუნდებს შორის პირველობა მიეკუთვნა მესამე საშუალო სკოლის გუნდს.

ა. კრიხელი

* * *

მანგლისის კულტურის სახლში მოეწყო პირველი საწვრთნელო შეჯიბრება კრივში. ახალგაზრდები დიდი მონდომებით ეუფლებიან კრივის რთულ ილეთებს. სექციას ხელმძღვანელობს ბ. ივანოვი. თებერვლის პირველ ნახევარში მოეწყობა ამხანაგური შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში.

ა. ასკურავა

* * *

ჩატარდა „ბურევესტნიკის" გურჯაანის რაიონული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს თავმჯდომარე ვ. ჯაჯანიძე. სიტყვებით გამოვიდნენ ქ. ნაცვლიშვილი, დ. გოგიაშვილი, მ. ჯალალოვი, ე. ბაბუნიძე და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებზე. კონფერენციამ აირჩია რაისაბჭოს ახალი შემადგენლობა და დასახა სათანადო ღონისძიება მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ი. ოდიშელიძე

* * *

ძველი აბაშის საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებულია ფრენბურთის, ფეხბურთისა და ჭადრაკის წრეები. სისტემატურად ტარდება მეცადინეობა, ხშირად ეწყობა შეჯიბრებები.

ამ დღეებში ჩატარდა მოჭადრაკეთა შეხვედრა მეშვიდე, მერვე და მეათე კლასებს შორის. გამარჯვება მოიპოვეს დ. კერესელიძემ, ი. ჭოიავამ და ლ. ნოდიამ.

ი. თოფურია

ჰელსინკი—მელბურნი

ი. ტიუკალოვი

ყოველი დიდი შეჯიბრების წინ, როგორც წესი, გაცხარებული დავა იმართება ხოლმე მოსალოდნელი გამარჯვებულის შესახებ. პრეტენდენტთა რაოდენობა, მათი შანსები, ტაქტიკა სხვადასხვაგვარია. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ძნელია გამარჯვებულის განსაზღვრა.

მაგრამ, როცა ჰელსინკის თამაშების წინ სპორტული მიმომხილველები პროგნოზებს აკეთებდნენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში ერთმოსასმელიან ნავებზე სავარაუდო ჩემპიონის შესახებ, არავის აზრად არ მოსვლია ეხსენებია ახალგაზრდა საბჭოთა ნიჩბოსანი იური ტიუკალოვი. ბევრი ლაპარაკი იყო მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის ავსტრალიელი მ. ვუდის, 1951 წლის სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის პოლონელი თ. კოცერკას, ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის ჯ. კელის, ინგლისის ჩემპიონის ა. ფოქსისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ტიუკალოვზე კრინტიც არავის დაუძრავს.

ამიტომ საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ ნახევარფინალში საუკეთესო დრო სწორედ ი. ტიუკალოვს აღმოაჩნდა, რომელმაც დაამარცხა ჯ. კელი. საბჭოთა ნიჩბოსანმა მანძილი დაფარა 7 წუთსა და 52,6 წამში, ამერიკელმა — 7 წუთსა და 57,3 წამში.

ი. ტიუკალოვმა ფინალში მაღალი ტაქტიკური და ტექნიკური ოსტატობა აჩვენა. იგი ლიდერობდა თითქმის მთელ დისტანციაზე და ფინიშთან პირველი იყო შედეგით — 8.12,8. ნახევარი კორპუსით ჩამორჩა გამარჯვებულს მ. ვუდი — 8.14,5. შემდეგ იყვნენ კოცერკა, ფოქსი, სტეფენი. ჩემპიონის ოქროს მედალი ერგო საბჭოთა სპორტსმენს.

გავიდა ხანი და ტიუკალოვმა ერთმოსასმელიანი ნავიდან გადაინაცვლა ორმოსასმელიანზე. იგი ჩინებულად შეეთვისა თავის პარტნიორს ა. ბერკუტოვს და ამ წყვილმა მალე მოიპოვა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონობა.

მელბურნში ტიუკალოვსა და ბერკუტოვს მრისხანე მოწინააღმდეგეები ჰყავდათ ამერიკელებისა და ავსტრალიელების სახით. მაგრამ საბჭოთა ნიჩბოსნებმა ჩინებულად ჩაატარეს მთელი შეჯიბრება და პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

საზღვარგარეთულ სააგენტოთა ცნობაში ეწერა: „ბერკუტოვი და ტიუკალოვი კარგად აწყობილ მექანიზმს ჰგავდნენ. აშშ-ს გუნდს მათ 4 კორპუსით გაუსწრეს".

რ. რიჩარდსი

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჭოკით ხტომა. მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში პირველი 7-8 ადგილი სისტემატურად ეკუთვნით ამერიკელებს. აქ ექსტრა-კლასის მიღწევად ითვლება 15 ფუტი (4 მ 57 სმ).

ეს სიმაღლე პირველად 1940 წელს აიღო კორნელიუს უორმერდამმა. ორი წლის შემდეგ მანვე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი— 4 მ 77 სმ, რომელიც დღემდე ზის რეკორდების ცხრილში.

მსოფლიო რეკორდი, მართალია, უორმერდამს ეკუთვნის, მაგრამ „მფრინავი პასტორი", ამერიკელი რობერტ (ბობ) რიჩარდსი სხვა რეკორდის მფლობელია. 15 ფუტი მხოლოდ ერთხელ ან 2-3-ჯერ აქვთ დაძლეული ამერიკელ მხტომელებს კუპერს, გუტოვსკის, ლაცს, ბრეგს. კ. უორმერდამმა ეს სიმაღლე 43-ჯერ აიღო, ხოლო რიჩარდსმა 100-ჯერ (!).

არასოდეს არც ერთ ჭოკით მხტომელს არ ჰქონია ასეთი მაღალი და სტაბილური შედეგები. მისი პირადი რეკორდებია 4,66 მ სტადიონზე (1954 წელს) და 4,70 მ დახურულ დარბაზში (1955 წ.).

რიჩარდსი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია ჭოკით ხტომაში. ჰელსინკში მან ჩემპიონობა მოიგო შედეგით 4 მ 55 სმ (ოლიმპიური რეკორდი), ხოლო მელბურნში — მან ამ რეკორდს ერთი სანტიმეტრი წაუმატა და კვლავ გახდა ოქროს მედლის მფლობელი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 01328